პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 160 (4670)

1972 წ. 16 აგვისტო, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# თინათინ ლეკვეიშვილი:

## საკავშირო რეკორდით დამშვენებული ოქროს მედალი

## ვიქტორ კრასკოს ვერცხლი

მოსკოვი, 14 აგვისტო. სულ ერთ დღე-ღამეს იარსება სსრ კავშირის რეკორდმა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (52,8), რომელიც მოსკოველმა ი. გრივენიკოვმა დაამყარა. დღეს ლუჟნიკის 50-მეტრიან აუზში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში გრივენიკოვმა კიდევ გააუმჯობესა თავისი შედეგი — 52,55 აჩვენა, მაგრამ... II ადგილი დაიკავა. ევროპის რეკორდსმენი და ქვეყნის ჩემპიონი გახდა მოსკოველი ვ. ბურე — 52,51. კონტინენტის ძველი რეკორდი (52,6) წლეულს ივლისიდან ფრანგ მ. რუსოს ეკუთვნოდა.

ბრინჯაოს მედალიც მოსკოველმა სპორტსმენმა ვ. მაზანოვმა მიიღო — 53,71.

! გულაღმა ცურვაში ფინალური შეჯიბრება მოიგო თბილისელმა თ. ლეკვეიშვილმა, რომელმაც 200 მეტრზე 2.26,5 აჩვენა. მისივე ძველი საკავშირო რეკორდი 0,1 წამითაა გაუმჯობესებული.

დამატებით შეჯიბრებაში კიდევ ერთი საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა ნორილსკელმა მოსწავლემ გ. ზურმენსკაიამ: 400 მ თავისუფალი სტილით მან 4 წუთსა და 37,2 წამში გაცურა.

100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ქალთა ფინალური შეჯიბრება მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: მოსკოველი გ. სტეპანოვა, რომელსაც გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, ფინიშთან მეოთხე იყო — 1.17,2. ოქროს მედალი პირველად მოიპოვა კრასნოდარელმა ლ. პორუბაიკომ—1.16,9. შემდეგ ადგილებზე არიან ლვოველი ტ. პრუდნიკოვა (1.17,01) და კრასნოდარელი ლ. რუსანოვა (1.17,06).

მოსკოველი ნ. პანკინი, რომელმაც წინადღით 200 მეტრზე ბრასით ცურვაში ევროპის რეკორდი დაამყარა, 100 მეტრზე მეორე აღმოჩნდა (1.06,56), წინ გაუშვა 18 წლის ლენინგრადელი ვ. სტულიკოვი (1.06,38), რომელიც პირველად გახდა ჩემპიონი. III ადგილზეა ასევე ლენინგრადელი ვ. კოსინსკი — 1.07,9.

დანარჩენი ტექნიკური შედეგები:

200 მ. ბატერფლაი. ქალები. 1. ა. მეერზონი (ლენინგრადი) — 2.29,1; 2. ვ. ვასკევიჩი (ლვოვი) — 2.31,5; 3. ვ. ტუტაევა (მოსკოვი) — 2.32,5.

200 მ. ბატერფლაი. ვაჟები. 1. ვ. შარიგინი — 2.09,18; 2. ა. დუნაევი (ორივე — მოსკოვი) — 2.09,23; 3. ს. კონოვი (ტაშკენტი) — 2.10,93.

100 მ. თავისუფალი სტილი. ქალები. 1. ტ. ზოლოტნიცკაია (ნოვოსიბირსკი) — 1.01,3; 2. ე. ტიმოშენკო — 1.01,5; 3. ნ. მატიუხინა (ორივე — მოსკოვი) — 1.01,89.

200 მ. გულაღმა. ვაჟები. 1. ლ. დობროსკოკინი (ვოლგოგრადი) — 2.11,5; 2. ვ. კრასკო (ბათუმი) — 2.11,9; 3. ვ. ტიგნიუსი (კაუნასი) — 2.14,0.

200 მ. გულაღმა. ქალები. 1. თ. ლეკვეიშვილი (თბილისი) — 2.26,5; 2. ტ. ასტაშკინა (პენზა) — 2.27,6; 3. ი. გოლოვანოვა (ალმა-ათა) — 2.27,9.

• • •



სურათზე: თ. ლეკვეიშვილი შეჯიბრების დროს.

ო. გელაშვილის ფოტო.

# უნგრეთის დედაქალაქის კორტებზე

ბუდაპეშტი, 14 აგვისტო. ევროპის ჩოგბურთელთა [illegible] IV ჩემპიონატში, როგორც ცნობილია, დაღამების გამო შეწყდა ვაჟთა წყვილების ფინალური მატჩი. „გადადებული პარტიის" დამთავრებისას, ისევე როგორც „დებიუტში", ინიციატივას გამოიჩენდა(?) ლი, მრავალ ბრძოლაში ნაწრთობი ა. მეტრეველ (თბილისი) — ს. ლიხაჩოვის (ბაქო) წყვილი დაიუფლა. მისი შეხვედრა თბილისელ თ. კაკულიასთან და მოსკოველ ვ. კოროტკოვთან ასე დამთავრდა: 6:4, 7:9, 6:3, 6:2.

დღეს აქ დამთავრებულ ჩემპიონატში საბჭოთა ჩოგბურთელებმა მეოთხე ოქროს მედალი მოიპოვეს, ამჯერად — შერეულ წყვილთა ტურნირში. მეტრეველმა თავის მუდმივ მეწყვილესთან, მოსკოველ ო. მოროზოვასთან მხარდამხარ ტოლად სძლია ბაქოელთა დუეტს — ლიხაჩოვსა და ე. ბირიუკოვას — 6:3, 6:3.

აშკარად არ გამოუვიდა თამაში კონტინენტის შარშანდელ აბსოლუტურ ჩემპიონს მეტრეველს ვაჟთა ერთეულების ფინალურ მატჩში. სამაგიეროდ, სახელგანთქმული საბჭოთა ჩემპიონის წინააღმდეგ ძალიან დიდი მონდომებით იბრძოლა უნგრელმა ს. ბარანიიმ და საწადელსაც მიაღწია, გაიმარჯვა ანგარიშით 6:1, 6:0, 6:2. ამრიგად, ევროპის 1969 წლის ჩემპიონმა ბარანიიმ ეს საპატიო წოდება დაიბრუნა.

## ... 19 45

◆ სტოკჰოლმი, 15 აგვისტო. აქ გამართულ წინაოლიმპიურ საერთაშორისო შეჯიბრებაში ლ. ვირენმა (ფინეთი) მსოფლიო რეკორდი დაამყარა 2 მილზე (3218,69 მ) რბენაში — 8.14,0. ფინიშთან ვირენმა მძლავრი ბიძგით გაუსწრო უწინდელ რეკორდსმენს, ბელგიელ ე. პუტემანსს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბელგიელის დრო — 8.17,2 — 0,6 წამით უკეთესია ძველ რეკორდზე. 3000-მეტრიან მონაკვეთზე ვირენის შედეგია 7.43,6, ხოლო პუტემანსისა — 7.44,2. 100 მეტრზე რბენაში პირველი იყო მადაგასკარელი ჟ.-ლ. რაველომანანტსოა — 10,2. 400 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა, ამერიკელმა ლ. ევანსმა — 45,1. II ადგილზეც ამერიკელი ჯ. სმითი გავიდა — 45,2. 200 მ ყველაზე სწრაფად გაირბინა უ. კოლეტმა (აშშ) — 20,8. ბადროს მტყორცნელ ვაჟთა შეჯიბრებაში შვედმა რ. ბრუხმა ამერიკელები ჩამოიტოვა. მისი შედეგია 62,58 მ. ბირთვი ყველაზე შორს შვედმა ა. არენიუსმა ჰკრა — 19,34 მ.

◆ ბუდაპეშტი, 15 აგვისტო. იუდიტ ბოგნარი მეოცე ბირთვის მკვრელი ქალი გახდა ევროპაში, ვინც ოლიმპიურ სეზონში 18-მეტრიან ზღვარს გადააცილა, თანაც მისი შედეგი (18,14) უნგრეთის რეკორდია. გ. ფეიერმა 62,58 მეტრზე ტყორცნა ბადრო, ხოლო ლ. ნემეტმა 81,20 მეტრზე — შუბი. ქალთა შორის ამ სახეობაში გაიმარჯვა მ. ვიდოშ-პაულანიიმ — 57,82 მ.

## ავტო მოტო-72

● იუსკვარნა, 14 აგვისტო. შვეციის ამ ქალაქის მახლობლად გაიმართა მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის X ეტაპი „250-ანების" კლასში. გაიმარჯვა შვედმა ჰ. ანდერსონმა. II ადგილზე გავიდა მისი თანამემამულე ა. კრინგი, ხოლო III—ლენინგრადელი პ. რულიოვი. ჩემპიონატის დასკვნითი ორი ეტაპის წინ ლიდერობს ბელგიელი ჟ. რობერი. ეს ორი ეტაპი 20 (ინგლისი) და 27 აგვისტოს (შვეიცარია) გაიმართება.

● კლაიპედა, 14 აგვისტო. რსფსრ-ს „უროჟაის" მხედრებმა სოფლის გუნდებს შორის საცხენოსნო სპორტში სსრ კავშირის ჩემპიონთა სახელი მოიხვეჭეს. ლიტვის ზღვისპირეთში მდებარე სოფელ პრეკულეში ცხრადღიანი ცხარე ბრძოლების შემდეგ მათ დაისაკუთრეს პირველობის მთავარი პრიზი, რომელიც აგერ უკვე მეთოთხმეტედ მოიგეს. II ადგილზეა უკრაინის „კოლოსის" გუნდი, III — ესტონეთის „იიუდი".

ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მიეძღვნა



# იზრდება ნიშნოსანთა არმია

ახალი ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის", სულ უფრო იკიდებს ფეხს ჩვენს რესპუბლიკაში. განსაკუთრებით ბევრი ფიზკულტურელი გამოვიდა კომპლექსის სტარტზე გასულ შაბათ-კვირას — ფიზკულტურელის საკავშირო დღის აღსანიშნავ ზეიმზე.

გორი, ახმეტა, ლესელიძე, თელავი, ცხაკაია, ლაგოდეხი, ქარელი... საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მოდის რესპუბლიკის სპორტკომიტეტში და ჩვენს რედაქციაში სასიხარულო სტრიქონები.

— ჩვენს რაიონში ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება სპორტის შვიდ სახეობაში მოეწყო. სტარტზე 350 კაცი გამოვიდა, — გვწერს ცხაკაიას რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე შ. ჩიქობავა.

— 82 კაცი და 88 ქალი გაწოვიდა კომპლექსის ერთ-ერთ რთულ სახეობაში — მძლეოსნურ კროსში, — გვწერს ლანჩხუთის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გ. წილოსანი.

როგორც სანხერის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე დ. გოშაძე გვატყობინებს, რაიონში კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ფიზკულტურელის საკავშირო დღეს 740 კაცი გამოვიდა სარბიელზე.

— 12 აგვისტოს ქარელის 987 ფიზკულტურელმა ჩააბარა კომპლექსის ნორმატივები ცურვაში, — გვაცნობა რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ შ. კუტალაშვილმა.

— ახმეტაში სამი ორგანიზაციის 362 წარმომადგენელი ჩაება ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, — ეს ცნობა მოგვაწოდა რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ყოჩიაშვილმა.

— ლაგოდეხში ახალი კომპლექსის ნორმატივები 440 კაცმა ჩააბარა სპორტის ხუთ სახეობაში, — გვწერს რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. მახაშვილი.

— გასულ შაბათსა და კვირას კომპლექსის პირველი ნორმატივები დუშეთის რაიონის 41 ფიზკულტურის კოლექტივის 593 კაცმა ჩააბარა, — გვაწვდის ცნობას რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მ. კარიაული.

— ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით ვანში ჩატარებულ დიდ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობდა 500 კაცი, რომელთაგანაც 300-მა ნორმატივები წარმატებით ჩააბარა, — გვწერს ვანის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ბუბაშვილი.

— ბორჯომის კომკავშირის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომისა და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის 120 ფიზკულტურელი მონაწილეობდა ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, — გვატყობინებს რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ა. გელაშვილი.

— მახარაძეში, — გვწერს ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ო. კიშინსკი, — მშდ კომპლექსის კროსის სტარტზე 400 მონაწილე გამოვიდა.

ბევრი ფიზკულტურელი მონაწილეობდა გორში, თეთრ წყაროში, ახალქალაქში, ბოგდანოვკაში, თელავში ახალი კომპლექსის პროგრამით გამართულ შეჯიბრებებში.

როგორც შეგვატყობინეს, ახალი კომპლექსის ნორმატივებს წარმატებით აბარებენ ქუთაისში, ცხინვალში, ხობში, გარდაბანში, აბაშაში, საგარეჯოში, ზუგდიდში, ჩოხატაურში, გეგეჭკორში, ლენტეხში, ასპინძაში, ფოთში, თერჯოლაში, ყაზბეგში...

და ბოლოს, კიდევ ერთი დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ჟულელი:

— ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა უმაღლესი ოსტატობის ტანვარჯიშის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტსკოლის 100-ზე მეტმა სპორტსმენმა, რომლებიც შეკრებაზე ლესელიძეში არიან.

მართლაც კარგი, სასიხარულო სტრიქონებია!

# მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშების გახსნამდე 10 დ[illegible]

München -72

— შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში.

მაშინ ეჭვისა და წუხილის დრო არ იყო. სპორტული საზრუნავის გარდა, ოჯახური საქმეც დაემატა — ქალიშვილი შეეძინათ (ახლა შაპარენკო ყოველი შეჯიბრების შემდეგ პირველი ტოვებს ასპარეზობის ქალაქს და შინ მიიჩქარის, სადაც პატარა ლენა ევულება).

წლეულს მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, რომ შაპარენკოს მარტო ერთადგილიანით უნდა ევარჯიშა. ახლა უკვე ბევრი ნიჭიერი ნიჩბოსანი გამოჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და აღარ ღირს „ყურადღების გაფანტვა".

ამას წინათ ჟიტომირში საკავშირო შეჯიბრება ჩატარდა. შაპარენკოს უპირატესობა აშკარა იყო და სპორტსმენმა მიუნჰენის საგზურიც უჭოჭმანოდ დაისაკუთრა.

უფრო რთულადაა საქმე ქალთა გუნდში. ერთადგილიანებში დიდხანს კი ბატონო, მიმსახურეთ.

დიდხანს უმტკიცებდნენ, ყველაფერი კარგად იქნება, მიუნჰენის საგზური შენიაო, მაგრამ თავისი ვერ გადაათქმევინეს. სამაგიეროდ, ორი მოგებული ფინალის შემდეგ მან სიხარულით გაიღიმა და მორჩილად გადაიტანა წიჩაბი ერთი ხელიდან მეორეში, როგორც ფოტორეპორტიორებმა სთხოვეს...

მწვრთნელებისთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა ორადგილიანისა და ოთხადგილიანის ეკიპაჟების შერჩევა. ახლა პინაევა და რიაბჩინსკაია მეტოქეებზე ძლიერნი არიან, მაგრამ მათ ერთად ვერ დასვამენ, რადგან სხვადასხვა სტილი და ტემპი აქვთ. ამიტომ მწვრთნელები იძულებული არიან ათობით სხვადასხვა ფაქტორი გაითვალისწინონ ეკიპაჟის შედგენის დროს.

ვლადას ჩესიუნასს, ვილნიუსელ კანოისტს აყვავების პერიოდი 30 წლის ასაკში დაუდგა. სხვა ნიჩბოსნები ამ ასაკში უკვე ტოვებენ სპორტს, მან კი

ქალთა ორადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში ოქროს მედლები მოიპოვეს პინაევამ და ხარკოველმა ე. კურიშკომ. მაგრამ მწვრთნელებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ ოლიმპიური რეგატის ყოველი მონაწილე მარტო ერთი ნავით უნდა გამოდიოდეს, ორადგილიანის ისეთი ეკიპაჟის ჩამოყალიბება კი, სადაც კურიშკოსთან სხვა ვინმე გამოვა, აღარ შეიძლება — დაგვიანებულია.

ასევე გაურკვეველია ვაჟთა ორადგილიანი ბაიდარის ამბავი. ქვეყნის ამჟამინდელი ჩემპიონები ნ. გორბაჩოვი და ვ. კრატასიუკი დიდი ფიზიკური ძალის პატრონები არიან, მაგრამ ზოგჯერ მეტისმეტად სწორხაზობრივი ტაქტიკა აქვთ. შარშან საბჭოთა ოთხადგილიანი ბაიდარა პირველი იყო იუგოსლავიის მსოფლიო ჩემპიონატში. სამაგიეროდ, წინაოლიმპიურმა შემოწმებამ რუმინეთში მწვრთნელთა წინაშე ბევრი ამოცანა დააყენა: ჩემპიონთა „ლინკორი" მხოლოდ მეოთხე იყო...

ვ. კუკუშკინი.
(საკდესის კორ.).

## დ[illegible]ის გათვალისწ[illegible]

სიმბოლური განცხადება გაკეთდა კრივში საბჭოთა კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის მსვლელობისას, ცსკა-ს სპორტის სასახლეში. დიქტორმა მხოლოდ ეს წარმოთქვა: „ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები და მწვრთნელები შეჯიბრების შემდეგ კრივის ფედერაციის მაგიდასთან უნდა შეიკრიბონ". მაყურებელთა უმრავლესობა წავიდა, მაგრამ ბევრი არ ჩქარობდა ტრიბუნების მიტოვებას. მაინც საინტერესო იყო ენახათ, ვინ მივიდოდა ფედერაციის მაგიდასთან, ვინ არის გერბიანი მაისურის პრეტენდენტი, ვინ მიიღებს გ. შატკოვის, ო. გრიგორიევის, ბ. ლაგუტინის, ვ. პოპენჩენკოსა და ტყავის ხელთათმნის სხვა სახელგანთქმული ოსტატების ესტაფეტას.

რასაკვირველია, ზუსტი შემადგენლობის — თერთმეტი ოლიმპიელის დასახელება ამჟამად შეუძლებელია. კრივი სპორტის ისეთი სახეობაა,

## კატარა ნავების დიდი ესკადრა

ერთი შეხედვით . ბაიდარა მზიან დღეში წყლის ცისფერ ზედაპირზე მოფარფატე პეპელას ჰგავს. ნიჩბებიდან წყლის წვეთები ცვივა და მთელი ნავი ცისარტყელას ფერებით ელვარებს, ისე ლაღად დაცურავს, ნიჩბის მოსმა მარტო სალაღობოდ მოგინდება კაცს. თითქოს არც იმდენი ძალა უნდა სჭირდებოდეს ამას... მხოლოდ გვიან, როცა ნიჩბოსნები ნაპირზე ამოდიან, ხედავს მაყურებელი, რომ ეს უზრუნველი მენიჩბეები ტანად ლამის ორი მეტრი არიან, მხრები ლაღად გაუშლიათ, კუნთები ტანმოვარჯიშეებივით უთამაშებთ, თმა ველოსიპედისტებივით გახუნებიათ მზესა და ქარში. საბჭოთა ნაკრების ყველა დღევანდელი ნიჩბოსანი — ბაიდარისა და კანოეს ყველა ოსტატი — სახელგანთქმულ პეტრეს გვარდიაში გამოდგებოდა.

გუნდის ლიდერია მსოფლიოს ყველა უმაღლესი ტიტულის მფლობელი ალექსანდრე შაპარენკო. იგი უკრაინის ქალაქ სუმიდანაა. ამ რამდენიმე წლის წინ ტალანტისა და საუცხოო მომზადების გამო რამდენიმე კლასის ნავებით დაიწყო სარბიელზე გამოსვლა და მუდამ ან გამარჯვებული იყო, ან პრიზიორი. მას უკვე დიდი ხანია ცნობილი ნიჩბოსანი, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ი. პისარევი წვრთნის. შაპარენკოს მხოლოდ ერთხელ მოეცარა ხელი

უცვლელი ლიდერი იყო სახელგანთქმული ლენინგრადელი ლ. პინაევა. მეტოქეები ცალკე მშვენიერ შედეგებს აღწევდნენ, მაგრამ პინაევას პირისპირ არაფერი გამოსდიოდათ. მეხიკოს თამაშებში პინაევამ ტრავმის მიუხედავად (ფინალური შეჯიბრების წინადღით მანქანა დაეჯახა) ოქროს მედალი დაისაკუთრა ერთადგილიანით და ბრინჯაოს მედალი მიიღო ორადგილიანით შეჯიბრებაში ა. სერედინასთან ერთად. ამ ოლიმპიადის შემდეგ ამბობდნენ, პინაევა სარბიელს დატოვებსო. მან 1969 წლის სეზონი გამოტოვა კიდეც (ბავშვი შეეძინა), მაგრამ მერე ისევ დაუბრუნდა ცისფერ ბილიკებს და გაიმარჯვა. ეს კია, ახალგაზრდა სპორტსმენები სულ უფრო უახლოვდებიან სახელგანთქმული ჩემპიონის შედეგებს, მსაჯები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ფოტოფინიშს. ყველაზე სერიოზულ მეტოქეობას პინაევას ოდესელი ი. რიაბჩინსკაია უწევს.

იმავე ჟიტომირში ერთი საყურადღებო სცენის მოწმე გავხდი. შეჯიბრების პირველ დღეს ფოტოკორესპონდენტები წინასწარ იღებდნენ სურათებს. პინაევამ ცივი უარი თქვა.

— ეს შესარჩევი შეჯიბრებაა, — თქვა მან. — ერთადგილიანითაც გამოვდივარ და ორადგილიანითაც. ერთი ოქროს მედალიც რომ მოვიგო, მაშინ,

საპასუხისმგებლო სტარტები მოიგო და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი გახდა. ახლა იგი 32 წლისაა და ოლიმპიადის სარბიელზე გამოვა. საბჭოთა კავშირში ჩესიუნასსა და ლობანოვს მეტოქეობას ვერც ერთი დუეტი ვერ გაუწევს. ეს ეკიპაჟი სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა კანოისტმა ა. სილაევმა შეადგინა. 20 წლის იური ლობანოვი ორადგილიანი კანოეებით შეჯიბრებაში მსოფლიო ჩემპიონის, დუშანბელი მიხეილ ლობანოვის უმცროსი ძმაა. სპორტულ სამყაროში იგი ჯერ კიდევ არ არის ცნობილი. ის და ჩესიუნასი ნავში ერთად ამ გაზაფხულზე ჩასხდნენ.

— უკვე პირველივე ცდიდან ბედი გვწყალობდა, — ღიმილით ამბობს ჩესიუნასი, — რაც მთავარია, ნავი არ გადაბრუნებულა. სილაევი დელიკატურად „გვიხსნიდა" — კი არ გვასწავლიდა, გვისწორებდა. მეწყვილე კარგი გამომადგა. ღონე და მუშაობის სურვილი არ აკლია. ცოტა ფიცხია, მაგრამ ეგ არაფერი, მე მეტი გამოცდილება მაქვს და ვეცდები სწორად წარვმართო ბრძოლა. ბრძოლაში მთავარია არა უბრალოდ ძალა, არამედ ტაქტიკური „თამაში".

თუ რამდენიმე კლასში მდგომარეობა ნათელია, ზოგში ქვეყნის ჩემპიონატმაც ვერ შეიტანა სიცხადე.

### მათი კურსი — ოლიმპიადა

## „ცოფიანი ცხენი"

ეს ამბავი 1969 წლის 19 აპრილს მოხდა ლონდონის სტადიონ „კრისტალ პალასის" ტარტანის ბილიკზე. 19 წლის ჭაბუკმა 10-კილომეტრიანი დისტანციის ოცდახუთივე წრე უჩვეულოდ მაღალ ტემპში გაირბინა. ეს ჭაბუკი დევიდ კოლინ ბედფორდი გახლდათ. იგი დაიბადა 1949 წლის 30 დეკემბერს ჰენდონში, ლონდონის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ გარეუბანში. სიმაღლით 184 სმ იყო, წონით 65 კგ. რბენის დროს შავი გრძელი თმა შუბლზე ეყრებოდა. იმ ღირსსახსოვარ დღეს წამმზომებმა 28.24 აღნიშნა. ამ ასაკში ასეთი შედეგი მსოფლიოში არც ერთ მორბენალს არ მოუპოვებია. 1966 წელს გდრ-ის ჩემპიონმა იურგენ ჰააზემ 28.12,6 აჩვენა, მაგრამ იგი მაშინ 21 წლისა და 6 თვის იყო.

ბედფორდი მაშინ უცნობი არ იყო მძლეოსნობის სამყაროში — იუნიორთა საერთაშორისო შეჯიბრებები ჰქონდა მოგებული. სპეციალისტები მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. მიუხედავად ამისა, მალე იგი „ცოფიან ცხენად" იქცა: ბედფორდი უამრავ შეჯიბრებაში გამოდიოდა მსოფლიოს სულ სხვადასხვა კუთხეში, ოდნავაც არ უწევდა ანგარიშს მწვრთნელებისა და სპეციალისტების აზრს. შედეგებმა თანდათან დაკარგა სტაბილურობა. ინგლისის გუნდის ხელმძღვანელები ევროპის ჩემპიონატში (ათენი) ბედფორდის გამოყვანას არ აპირებდნენ. 1970 წლის 7 ივლისს ინგლისის ჩემპიონატში (უაიტ სიტი) ბედფორდმა წიდოვან ბილიკზე 10000 მეტრზე 28.26,4. აჩვენა. სამი დღის შემდეგ ვარშავაში პოლონეთ — დიდი ბრიტანეთის მატჩის დროს მისი შედეგი იმავე დისტანციაზე 28.06,2 იყო. ეს მსოფლიოში მესამე შედეგია მძლეოსნობის ისტორიაში. ბედფორდს სჯობდნენ მხოლოდ მსოფლიო რეკორდსმენი რონ კლარკი (27.39,04) და ევროპის რეკორდსმენი ი. ჰააზე (28.04,4).

ბედფორდმა „ხეტიალში" გაატარა 1971 წელიც, ჰელსინკის ევროპული ჩემპიონატის წელი. მისი რბენის ყოველდღიური „დოზა" 40-50 კმ იყო. ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე ბედფორდმა მეტოქეებს უჩვეულოდ მაღალი ტემპი შესთავაზა, მაგრამ ჰააზეს, ვაატაინენს, ხაროსა და ვირენს ვერ აჯობა. ფინიშთან მათ მიასწრეს ინგლისელს.

1972 წელს ბედფორდმა შეზღუდა შეჯიბრების რიცხვი. იგი კენიაში გაემგზავრა, სადაც ყოველდღიურად საწვრთნელ მეცადინეობაზე 40-50 კილომეტრს დარბოდა. და აი, 14 ივლისს იმავე „კრისტალ პალასის" სტადიონზე ბედფორდმა ევროპის რეკორდი დაამყარა 5 ათას მეტრზე — 13.17,4. ეს სულ 0,6 წამით ჩამორჩებოდა მსოფლიო მიღწევას, მეორე დღეს ბედფორდმა 10 კმ-ზე 27.52,8 აჩვენა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეჯიბრებამდე ერთი კვირით ადრე იმავე სტადიონზე ბედფორდმა დიდი ბრიტანეთის რეკორდი დაამყარა 2 კმ-ზე — 5.03,2.

ბედფორდმა ისწავლა 10-კილომეტრიან დისტანციაზე ბოლო წრის 55 წამში, ხოლო ბოლო 200 მეტრის 26 წამში გარბენა. ეს 400 მეტრზე მორბენალთა მწვრთნელის დ. ჯენკინსის წყალობით მოხდა. ახლა ბედფორდი უკვე აღარ არის „ცოფიანი ცხენი". იგი ცოტას ლაპარაკობს და ბევრს, სერიოზულად ვარჯიშობს. წავიდა ის დრო, როცა ახალგაზრდა მორბენალი ჟურნალისტებს თვალის დაუხამხამებლად ეუბნებოდა: „მე რომის პაპ პავლე მეექვსესთან ვიყავი მიღებაზე. მთხოვა, ჩემს რჩეულ ფრანკო არეზეს არ აწყენინოო".

მიუნჰენში 5 და 10 კილომეტრზე რბენაში დევიდ კოლინ ბედფორდი ოქროს მედლის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება. რაც შეეხება შემდგომ გეგმებს, ბედფორდმა განაცხადა: ოლიმპიადის შემდეგ ისევ „ცოფიან ცხენად" გადავიქცევიო.

მ. ბარამია.

## წინაოლიმპიური მოზაიკა



### გამართლდება თუ არა პროგნოზები?

ტოკიოს ოლიმპიადის მასპინძლები XX ოლიმპიურ თამაშებზე ამ ასპარეზობაში მონაწილეობის ისტორიაში ყველაზე დიდ გუნდს გზავნიან. მის შემადგენლობაშია 185 სპორტსმენი, რომლებიც ჯილდოებისთვის იბრძოლებენ 21-დან 19 სახეობაში. იაპონიის ოლიმპიური დელეგაციის მეთაურმა ი. მაედამ ჟურნალისტებს უთხრა, რომ „ამომავალი მზის ქვეყნის" წარმომადგენლები, ხულ ცოტა, 14 ოქროს მედალს მოიპოვებენ (ესე იგი, ორი მედლით ნაკლებს, ვიდრე ამ რვა წლის წინ შინ დაისაკუთრეს). მისი ანგარიშით, შვიდ მედალს ტანმოვარჯიშეები მიიღებენ, ოთხს — ძიუდოისტები, ორს — თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეები, ერთს — ფრენბურთელ ქალთა გუნდი.

ამ პროგნოზის შემოწმებამდე დიდი დრო აღარ დარჩა.

### ორი ქალაქის საჰაერო ხიდი

კილი, სადაც აფროსანთა ოლიმპიური შეჯიბრება უნდა ჩატარდეს, მიუნჰენიდან დაახლოებით 900 კილომეტრითაა დაშორებული. მიუხედავად ამისა, სპორტსმენები ოლიმპიადის გახსნაში მონაწილეობას მიიღებენ. თამაშის ორგანიზატორებმა მათთვის გამოყვეს თვითმფრინავი, რომელიც აფროსნობის ოსტატებს 26 აგვისტოს ბავარიის დედაქალაქში ჩაიყვანს, მეორე დღეს კი უკან დააბრუნებს.

ოლიმპიური ცეცხლი, რომელიც მიუნჰენში ასპარეზობის გახსნის დღეს — 26 აგვისტოს ჩავა, დაახლოებით 5100 მორბენალი სპორტსმენის ხელში გაივლის. მათგან თითოეული ერთ კილომეტრს დაახლოებით 5 წუთში გაირბენს. „ცეცხლოვანი ესტაფეტის" მონაწილენი სამახსოვროდ მიიღებენ ჩირალდნის მხატვრულად გაფორმებულ ტარს და საგანგებო სიგელს.

ბოლო ეტაპზე გამოსვლისა და XX ოლიმპიადის ცეცხლის ანთების უფლება მიიღო 18 წლის სტუდენტმა გიუნტერ ცანმა, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ გფრ-ის რეკორდსმენია 1500 მეტრზე რბენაში. არ დაგავიწყდეთ, რომ სახელგანთქმული რონ კლარკიც, რომელმაც 1956 წელს მელბურნის ოლიმპიური თამაშების ცეცხლი დაანთო, მაშინ მხოლოდ იმედის მომცემი იუნიორი იყო...

### შეინ გოულდის გეგმები

15 წლის ავსტრალიელი მოსწავლე შეინ გოულდი მიუნჰენის ოლიმპიადის ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავია (იხ. სურათი). ჟურნალისტებმა და ფოტორეპორტიორებმა სახელგანთქმულ მოცურავეს აეროპორტში ჩასვლისთანავე შემოარტყეს ალყა.

— იმედი მაქვს, რომ ერთ ოქროს მედალს მაინც მოვიგებ, — თქვა მსოფლიოს რეკორდსმენმა. — მაგრამ ისე, რასაკვირველია, არც რამდენიმე ჯილდოზე ვიტყვი უარს.

ავსტრალიის ქალთა გუნდის მწვრთნელმა ურსულა კარაილმა დაადასტურა, რომ მისი მოწაფე კარგ ფორმაშია.

გოულდს დრო უქმად არ დაუკარგავს: იგი მეორე დღესვე გამოცხადდა ოლიმპიურ აუზზე სავარჯიშოდ. გოულდის ყოველდღიური ნორმაა თითქმის 9 კილომეტრი. ამ მანძილს იგი უაღრესად მაღალ ტემპში გადის.

### გაიყიდა 3 მილიონი ბილეთი

ოლიმპიადისთვის დახარჯული თანხის დიდი ნაწილის ამოგებას ორგანიზატორები ბილეთების შემოსავლით აპირებენ. თამაშების დაწყებამდე ორი კვირით ადრე უკვე გაიყიდა 3 მილიონი ბილეთი (3900000-დან). შედარებით ნაკლებ პოპულარულია საფეხბურთო ტურნირის წინასწარი მატჩები, შეჯიბრებები აკადემიურ ნიჩბოსნობაში, კანოეებითა და ბაიდარებით. სამაგიეროდ, ასპარეზობის გახსნაზე და დახურვაზე ბილეთები უკვე აღარ არის.

# ...ა უპარყოფითის ...ბით

...ც შეცვლა ნებისმიერ მომენ-
...ძლება მოხდეს. არავინაა დაზ-
... შემთხვევითი ტრავმისგან
...გასვლის წინ უკანასკნელ სპა-
...ც კი. აი, რატომაა აუცილებელი
...თვის ყოველ წონითს კატეგო-
...იყოს ორი პრეტენდენტი მაინც.
...სწორად, ორი მოკრივე, რომე-
...ერთნაირი პოტენციური შესაძლე-
...ბი, ფიზიკური ძალა და ნების-
...ქნებათ.

...ოთა კავშირის თერთმეტი ჩემ-
...ჯერ კიდევ არ შეადგენს ოლიმ-
...ბუნდს, რასაც მთელი რიგი მი-
... განაპირობებს. ჯერ ერთი, შე-
...ერთი ტურნირის მიხედვით კი
...ება, არამედ შეჯიბრებების კომ-
...ით. ერთი მოკრივის ამბავი მა-
...ბა (არ დავასახელებ მას გასაგე-
...ბის გამო). იგი ურიგოდ რო-
...მოდიოდა სამშობლოში, იმარჯ-
...მაგრამ როგორც კი საზღვარგა-
...აღმოჩნდებოდა, სრულიად იცვლე-
... რინგზე გამოდიოდა მხდალი
... რომელსაც არც ტექნიკა
... არც ნამდვილი დარტყმა შეუძ-
...ინ დაბრუნებისას კი ისევ პირვე-
... გულშემატკივრების აღფრო-
...მოუხედავად, იძულებული გახდ-
...ო ეთქვათ მასზე, როგორც
... ნაკრების კანდიდატზე.

... წონის მოკრივე ი. ნესტეროვი,
... წონაში ყოფილი პრიზიორი,
... ჩემპიონატის საპატიო კვარცხ-
... არც ერთ საფეხურზე არ ასუ-
...გრამ მწვრთნელები მოხიბლა
...ბროლის არაჩვეულებრივმა მა-
... დიდმა პოტენციურმა შესაძლე-
...ბმა. რასაკვირველია, ვერ ვიტ-
...რომ ახლა იგი ვ. ჩერნიშოვზე
...ა. უნდა ითქვას, რომ ჩემპიო-
... მათი შეხვედრის შემდეგ მსა-
... უპირატესობა მაინც ევროპის
...ნს მიანიჭეს, თუმცა ბრძოლა
...ად თანაბარი იყო.

...თხ საბოლოოდ გადაწყვეტს
... გულმოდგინე ვარჯიშების შე-
... რამდენიმე დღე, როცა მოკ-
... მიუნხენში გამგზავრებამდე
...ნით ადრე ქვეყნის ნაკრების
...ლებს შეხვდებიან. ისეთმა ექ-
... კი, როგორიცაა ფ. შტამი,
... ახლა პოლონეთის ნაკრების
...ტის ფუნქციებს ასრულებს
...ლოში კაპიტან-აღმზრდელის
...ობას ჰგავს. ნას წვრილმანებზე
... აწუხებენ, არამედ მნიშვნელო-
... პრინციპული საკითხების გადა-
... მიმართავენ ხოლმე), საბ-
... ნაკრების მძიმე წონითს კატეგო-
... ასეთი ორი პრეტენდენტი დაასა-
... ნესტეროვი და ჩერნიშოვი.
... ჩანს, მხოლოდ ერთ კანდი-
... ჰყავს თავისი ტოლი — გა-
...ბით მაინც. ესაა ევროპის ორ-
...ემპიონი, საბჭოთა კავშირის არა-
... ჩემპიონი ვ. ტრეგუბოვი. მას
...ბით აქებდნენ მადრიდის გა-
... 1971 წლის კონტინენტის ჩემ-
... დღეებში. მე მახსოვს, რომ
... 1969 წელს, სსრ კავშირისა
... პირველი მატჩის შემდეგ, მუ-
...ლი, რომელიც ორთაბრძოლებს
... ამერიკული ტელევიზიის
... აღტაცებით ლაპარაკობდა ვოლ-
... არმიელზე, მას უძლიერეს
...ონალებს ადარებდა, პროფესი-
..., რომლებიც 15 რაუნდს იბრძ-
...ლმე.

...რის საჭირო ოლიმპიურ გუნდში
...დრად?

ოთხი წლის წინ საბჭოთა სპორტის მესვეურები, მათს რიცხვში კრივისაც, დიდ ყურადღებას აქცევდნენ საპასპორტო მონაცემებს — სპორტსმენის ასაკს. საბჭოთა კავშირის 1968 წლის ჩემპიონი ვ. ივანოვი 32 წლისა იყო და ამიტომ ნაკრებში არ შეიყვანეს — გუნდისთვის ბებერიაო, მაგრამ აი, იგი კვლავ ჩემპიონი გახდა. წილისყრა ისეთნაირად შედგა, რომ ივანოვი ყველა უძლიერეს მეტოქეს შეხვდა. გულახდილად ვაღიარებ, სასიამოვნო სანახავი იყო, როცა ივანოვი ჯდებოდა მაგიდასთან, რომელთანაც ოლიმპიური გუნდის კანდიდატები იკრიბებოდნენ. მის ასაკს — უკვე 36 წელს მნიშვნელობა აქვს ალბათ მხოლოდ ჟურნალისტური ანგარიშებისთვის. მთავარი ისაა, რომ იგი მებრძოლია.

გუნდის ორ კანდიდატს 57 კგ-მდე წონითს კატეგორიაში — საბჭოთა კავშირის ახალ ჩემპიონს ბ. კუზნეცოვსა (ასტრახანი) და მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონს ვ. სოკოლოვს ცალ-ცალკე ვესაუბრე. მათ სრულიად დამოუკიდებლად მომცეს ერთნაირი პასუხები, რომელთა გაერთიანება იოლია:

— იმის გადაწყვეტა, თუ ჩვენ ორს შორის ვინაა უფრო ძლიერი და ვინ უკეთ შეძლებს მიუნხენში გამოსვლას, მწვრთნელთა საქმეა. ვალერიანს (ბორისს) ბევრი ძვირფასი თვისება გააჩნია. რაც შემიძლია ყველაფერს გავაკეთებ, რომ ბორისი (ვალერიანი) რაც შეიძლება უკეთ მოემზადოს ოლიმპიადისთვის. — შემდეგ კი, შეკითხვაზე: რას იზამენ, თუ მიუნხენში ვერ მოხვდებიან — კვლავ ერთნაირად მიპასუხეს: დავიწყებთ მონრეალისთვის მზადებას.

მაგრამ აი, მხოლოდ ერთი პატარა დეტალი — სოკოლოვმა ულვაშები მოუშვა. მე კი ორი წლის წინათ მომხდარი ერთი ამბავი გამახსენდა. აფრიკაში გაემგზავრა რუსეთის ნაკრები, რომლის კაპიტანი სოკოლოვი იყო. იქ ერთად ვისმენდით ერთ ფირფიტას. ავტორს ასეთი სიტყვები აქვს — „ულვაშო კაპიტანი, ვითარც გემი უიალქნო“. მაშინ უბრალოდ გავეხუმრე, რომ ულვაშები მისთვის აუცილებელი იყო. თანაც გავახსენე, რომ თავის დროზე დ. პოზნიაკს, როცა კაპიტანი იყო, თავი მოჰქონდა დიდებული ულვაშებით. სოკოლოვმა ხუმრობითვე მიპასუხა, მაგრამ...

ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ყველა კანდიდატს შესთავაზეს დაუყოვნებლივ გაევლოთ დისპანსერიზაცია, შემოწმებულიყვნენ ექიმ-კარდიოლოგებთან. მათთან ერთად ექიმებს მიაშურა... რეფერიმ ა. სავინმაც. მას ძნელი სამუშაო ელის ოლიმპიურ თამაშებში — მოკრივეთა ათობით შეხვედრაში უნდა იმსაჯოს. მიუნხენში გამგზავრებამდე სავინი კონსულტაციას გაუწევს საბჭოთა მოკრივეებს, რათა ისინი საერთაშორისო სტარტებს შეაჩვიოს. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში შეჯიბრებები დღემდე საერთაშორისო ასოციაციის მიერ დადგენილისგან განსხვავებული წესებით ტარდება.

უნდა ითქვას, რომ, ტრადიციის მიხედვით, საერთაშორისო შეჯიბრებების არბიტრი არ უნდა ადიოდეს რინგზე, როცა მისი თანამემამულე იბრძვის. სავინმა კი თქვა: „მიყვარს ფინალის საღამოს მაყურებლის როლში გამოსვლა“. ჩვენც ყველას გვსურს, რომ იგი „უმუშევარი“ იყოს ოლიმპიური ტურნირის ფინალების დღეს.

ა. ვლადიმიროვი.
(საკდესის კორ.).

## „მშვიდობისკენ მივყავართ“

XV ოლიმპიური თამაშები (1952 წლის 15 ივლისი-3 აგვისტო) სამართლიანად ითვლება თანამედროვე მსოფლიოს სპორტული მიღწევების ყველაზე სრულყოფილ დათვალიერებად, სხვადასხვა ფერის, შეხედულებისა და რწმენის ადამიანთა მეგობრობის ჭეშმარიტ ზეიმად. თამაშების საზეიმო გახსნაზე სწორედ ამას გაუსვეს ხაზი ფინეთის პრეზიდენტმა პაასიკივიმ და სოკ-ის პრეზიდენტმა ედსტრიომმა. „ოლიმპიური ალამი გზას გვიჩვენებს ახალი იმედებისკენ. მას მშვიდობისკენ მივყავართ“, — ეს პოპულარული დევიზი ჰელსინკმა თავის მთავარ პროგრამად გამოაცხადა.

ფინეთის დედაქალაქს 63 ქვეყნის დელეგაცია ეწვია. მონაწილეთა ასეთი სიმრავლე მანამდე ჩატარებულ არც ერთ ოლიმპიადას არ ახსოვს. სარეკორდო იყო სპორტსმენთა რიცხვიც — 5 ათასზე მეტი. ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაციები ჩამოვიდნენ სსრ კავშირიდან (381 მონაწილე) და ამერიკის შეერთებული შტატებიდან (323). ბევრმა ქვეყანამ ჰელსინკში თითოოროლა დელეგატი გაგზავნა და ამით ხაზი გაუსვა ერთგულებას ოლიმპიური იდეისადმი, რომელიც უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს თამაშებში მონაწილეობას და არა სპორტსმენთა რაოდენობას, ან მათი შედეგების ხარისხს. ამის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რატომ სარგებლობდნენ ჰელსინკში ასეთი პოპულარობითა და ყურადღებით გვინეის, ტრინიდადის, ლიხტენშტეინის, ინდონეზიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგმა ეგრეთ წოდებულმა ჩამორჩენილმა ქვეყანამ შინ მედლების საკმაოდ მდიდარი კოლექცია წაიღო. სამაგალითოდ იამაიკაც კმარა, რომელსაც ჰელსინკში სულ 8 მძლეოსანი ჰყავდა გაგზავნილი. მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებთან ბრძოლაში ამ „მიკროგუნდმა“ ჯილდოდ 2 ოქროს და 3 ვერცხლის მედალი მიიღო. იამაიკელთა წარმატებას პროცენტულად გადააჭარბა ტრინიდადმა, რომლის ოთხკაციან გუნდში უმედლოდ არავინ დარჩენილა.

საბჭოთა სპორტსმენების დებიუტი სავსებით სამართლიანად და გაუზვიადებლად ოლიმპიადის მთავარ სენსაციად ითვლება. მართლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ ქვეყანამ, რომელსაც ოლიმპიადებში მონაწილეობის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში იმდენი ქულა დააგროვა, რამდენიც ძველმა და აღიარებულმა ფავორიტმა — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. მართალია, ამერიკელებმა მეტი ოქროს მედალი მიიღეს, მაგრამ ვერცხლისა და ბრინჯაოს მარაგით ისინი საგრძნობლად ჩამორჩნენ დებიუტანტებს.





XV ოლიმპიადა წმინდა სპორტული თვალსაზრისითაც ბევრად უფრო შინაარსიანი და საინტერესო გამოდგა. მიზეზი ორი მოწინავე ქვეყნის დავაში უნდა ვეძებოთ, რამაც, თავის მხრივ, საფუძველი ჩაუყარა ბევრ შესანიშნავ შედეგს. ჰელსინკში 48 მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი გაუმჯობესდა. ესეც უკვე საგულისხმო ფაქტია. მძლეოსნებმა ძველ ცხრილებში 28 შესწორება შეიტანეს. რეკორდები უმოწყალოდ დაიმსხვრა სხვა დისციპლინებშიც. 8 რეკორდი გააუმჯობესეს მოცურავეებმა, 7 — ძალოსნებმა, 4 — მსროლელებმა და 1 — ველოსიპედისტებმა. რეკორდთა უმრავლესობა ამერიკული წარმოშობისა იყო, საბჭოთა ოლიმპიელებმა სულ 6 შესწორება შეიტანეს ცხრილებში, მაგრამ დასაწყისისთვის ესეც კმაროდა.

ოლიმპიური თამაშები არ არის მხოლოდ კილოგრამების, წუთებისა და სანტიმეტრების შეჯიბრება. იგი, ამავე დროს, სხვადასხვა ცხოვრების, საწინააღმდეგო ხასიათების დაპირისპირებაა და ამდენად, საკმაოდ რთულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კანონებს ემორჩილება. ამბობენ რამდენი ადამიანიცაა, იმდენი გამოკვეთილი ინდივიდუალობა, განსხვავებული ცხოვრება არსებობსო. ჰელსინკის ოლიმპიადამ ჭეშმარიტი შუამავლის როლი იკისრა მათს შორის და ფართო ასპარეზი დაუთმო ბევრ თვითმყოფად ნიჭს.

დანიელმა ამორძალმა ლი ჰარტლიმ, რომელსაც ბავშვობაში პარალიზებული ჰქონდა ფეხი, ცხენოსანთა მთავარ ტურნირში II ადგილი დაიკავა სახელოვანი ვ. სენ-სირის შემდეგ. ამერიკელმა უ. დევისმა, რომელსაც პოლიომიელიტის უმძიმესი ფორმა ჰქონდა გადატანილი, ხიდიდან მხტომელ ვაჟთა შეჯიბრება მოიგო. ამ ორი უშიშარი და მტკიცე ახალგაზრდის გმირობა ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს სპორტის უკეთილშობილეს ტენდენციებს.

მაგრამ სპორტს მახინჯი ფორმებიც, უსიამოვნო გამოვლინებებიც აქვს. ეს განსაკუთრებით საგრძნობია მაშინ, როცა თავის პრინციპებს ღალატობს და სხვადასხვაგვარი ბოროტების სამსახურში გამოდის. მძიმე წონის მოკრივეთა ტურნირის მთავარი ტრიუმფატორი ედუარდ სანდერსი ოლიმპიადის შემდეგ პროფესიული კრივის ჯუნგლებში შთაინთქა. ღრმად ნოკაუტირებული ოლიმპიური ჩემპიონი ერთ მშვენიერ დღეს ჰოსპიტალში გარდაიცვალა. ამერიკელმა დევიდ ბრაუნინგმა ფენომენალური მონაცემები გამოავლინა ტრამპლინიდან ხტომაში. მან ადვილად მოიგო ჰელსინკის ოქროს მედალი და მომდევნო თამაშების მთავარ ფავორიტადაც ითვლებოდა. უბედურ ბრაუნინგს არ დასცალდა მელბურნამდე. პროფესიით მფრინავი-გამომცდელი ერთ-ერთი სარეკლამო გაფრენის დროს დაიღუპა.

სპორტი ყველას ერთნაირად არ ანებივრებს. ზოგს იგი აშკარად სწყალობს, ზოგს ზურგს აქცევს. სპორტი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და კიდევ იმათი, ვინც მოთმინებაც იცის, შრომაც და გარჯაც. აშშ-ს მოკრივეთა გუნდში ავადმყოფი ალფ. შპისერი ლიმ შეცვალა. მწვრთნელმა ამ უკიდურეს ზომას იმიტომ მიმართა, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ლიმ მოთმინებით დაიკლო წონაში 6 კილოგრამი, მერე ყველა ბრძოლა დიდი უპირატესობით მოიგო და „ვალ ბარკერის“ თასიც კი დაისაკუთრა, როგორც ოლიმპიური ტურნირის ყველაზე ტექნიკურმა მოკრივემ.

• • •

სურათებზე: XV ოლიმპიადის ჩემპიონები ტანვარჯიშში (მარცხნიდან) გ. შაგინიანი, ვ. ჩუკარინი და ვ. კოროლკოვი; სახელგანთქმული ბრაზილიელი მძლეოსანი ა. და სილვა ჰელსინკში მსოფლიო რეკორდს ამყარებს სამხტომში; სსრ კავშირისა და ურუგვაის კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი. მაღალი ბურთისთვის იბრძვიან ნ. ჯორჯიკია და მ. აკოსტა.



## გზა ფინალისკენ

...ავისტოს იწყება ოლიმპიური ტურნირი ფეხბურთში. ... გზა განვლეს ფინალისკენ ...ნაწილეებმა.

...ავშირი. ჰოლანდიასთან — ...ავსტრიასთან — 4:0, 1:0, ...თან — 5:3, 3:1.

...ნეთი. საბერძნეთთან — 7:1, ...ნეთთან — 2:0, 2:0, ბულ... — 1:3, 3:0.

...იტალიასთან — 4:0, 1:0, ...ასთან — 2:0, 0:0.

... შვეიცარიასთან — 4:0, 1:2, ...თან — 2:1, 3:2.

... ბერმუდის კუნძულებთან 3:0, კანადასთან — 1:0, 0:1, — 1:1, 2:2, იამაიკასთან — ... გვატემალასთან — 3:1, ... სალვადორთან — 1:1, 1:1, ბარბადოსთან — 3:0, 3:1, გადამწყვეტი თამაში სალვადორთან — 1:1, 11-მეტრიანთა სერია — 5:4, იამაიკასთან — 1:1, 2:1, მექსიკასთან — 1:1, 2.2, გვატემალასთან — 2:3, 2:1.

ბრაზილია. ეკვადორთან — 1.1, ბოლივიასთან — 2:1, არგენტინასთან — 0:0, ჩილისთან — 1:0, კოლუმბიასთან — 1:1, პერუსთან — 1:0.

კოლუმბია. ურუგვაისთან — 2.1, ვენესუელასთან — 2:0, პერუსთან — 1:1, პარაგვაისთან — 0:0, ბრაზილიასთან — 1:1, არგენტინასთან — 1:1.

მალაიზია. იაპონიასთან — 3:0, სამხრეთ კორეასთან — 1:0, ფილიპინებთან — 5:0.

ირანი. კუვეიტთან — 2:0, 2·0, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან — 0:0, 0:0, გადამწყვეტი თამაში — 2·0.

მაროკო. ნიგერთან — 5:0, 3:1, ტუნისთან — 3:3, 0:0, მალისთან — 2:1, 4:1.

განა. ლიბერიასთან — 2:1, 1:0, ტოგოსთან — 1.1, 2:0, კამერუნთან — 3:0, 0:0, სენეგალთან — 1:0, 2:0.

სუდანი. უგანდასთან — 4:0, 1:1, ეთიოპიასთან — 2:2, 1:0, მადაგასკართან — 3:0 (მეორე თამაშზე მადაგასკარელებმა უარი განაცხადეს).

ბირმა. ინდოეთთან — 4:3, ცეილონთან — 5:3, ტაილანდთან — 7:0, ინდონეზიასთან — 3:0.

უნგრეთი. ფინალში პერსონალურად მონაწილეობს, როგორც ოლიმპიური ჩემპიონი.

გფრ. ფინალში პერსონალურად მონაწილეობს, როგორც შეჯიბრების ორგანიზატორი.

## თბილისის დინამოელები ვარჯიშობენ

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში საზაფხულო არდადეგებია. თბილისის დინამოელები ამ პერიოდში განაგრძობენ ინტენსიურ წვრთნას და, ამას გარდა, რესპუბლიკის ქალაქებში ატარებენ ამხანაგურ სპარინგ-მატჩებს.

განვლილ კვირას ასეთი შეხვედრა შედგა ბათუმში, სადაც თბილისელთა წინააღმდეგ თამაშობდა ადგილობრივი „დინამო". საინტერესო მატჩი მოიგეს სტუმრებმა — 2:0. ბურთები გაიტანეს გუცაევმა და გ. ნოდიამ.

თბილისელები უახლოეს შეხვედრას ფოთში ჩაატარებენ.

## 4:0 და 1:0

**კრასნოდარი,** 15 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). „ტყავის ბურთის" პრიზზე უფროსი ასაკის ბავშვთა აქ მიმდინარე საკავშირო ფინალურ ტურნირში 6-6 გუნდი იბრძვის ოთხ ქვეჯგუფში. საქართველოს ფეხბურთელებს წინასწარ თამაშებში უკრაინის, ლიტვის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის წარმომადგენლებთან აქვთ საქმე.

ჩვენებმა ჩინებულად აიღეს სტარტი: პირველ მატჩში ანგარიშით 4:0 სძლიეს ლიტვის ნაკრებს, ხოლო მეორეში უკრაინელ თანატოლებს — 1:0.

ასპარეზობა გრძელდება.

**ო. უშვერიძე.**

## „სიჭაბუკის თასზე"

**ნოვოროსიისკი,** 14 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ნორჩ ფეხბურთელთა „სიჭაბუკის პრიზის" საკავშირო ფინალური გათამაშების II ტურში საქართველოს გუნდის მოწინააღმდეგე იყო რსფსრ-ს ნაკრები. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა — 1:0.

ბელორუსიის გუნდმა ანგარიშით 3:2 დაამარცხა აზერბაიჯანის ნაკრები. მოსკოვისა და უკრაინის ფეხბურთელებმა ფრედ ითამაშეს — 1:1.

**ნ. ამირეჯიბი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **სტოკჰოლმი.** შვეციის ფეხბურთის ფედერაცია დასთანხმდა სხვადასხვა ფირმებს მოთხოვნაზე, რომ ამიერიდან I ლიგის გუნდების მოთამაშეები მატჩების დროს მაისურებს ჩაიცვამენ სარეკლამო წარწერებით.

● **ჰააგა.** ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ 2 წლით გაუგრძელა ხელშეკრულება ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ფადრჰონცს, რომელსაც დაევალა გუნდის მომზადება მსოფლიო პირველობისთვის.

● **ბუენოს-აირესი.** გამოჩენილმა ბრაზილიელმა სპეციალისტმა დიდიმ განაცხადა, რომ აღარ განაახლებს ხელშეკრულებას არგენტინის „რივერ პლატასთან" და რიო-დე-ჟანეიროში დაბრუნდება.

● **როტერდამი.** ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი ვან ჰენეგემი „ფეიენოორდში" ვერაფრით ვერ შეეგუა ავსტრიელ მწვრთნელს ჰაპელს და „აიაქსში" გადავიდა, სადაც იოლად გამონახა საერთო ენა თავის პარტნიორებთან ნაკრებში კრუიფთან და კაიზერთან. „ფეიენოორდის" გულშემატკივრები ძალიან უკმაყოფილო არიან ასეთი დანაკარგის გამო.

## საგანგებო ჰონორარი პელეს

**მიმომხილველებს** მიაჩნიათ, რომ ზაფხულში გადატანილი ერთგვარი კრიზისის შემდეგ პელე ისევ ძველებური ძალით ათამაშდა. ევროპასა და აზიაში „სანტოსის" ამასწინანდელი მოგზაურობის დროს იგი ისევ გუნდის წამყვანი ფეხბურთელი იყო. ეს შესაფერისად დააფასეს მეტოქეებმაც, რომლებიც მატჩებში პელეს მონაწილეობას სავალდებულოდ მიიჩნევდნენ. მაგალითად, სტამბოლის „ფენერბაჰჩემ" იმ თანხის გარდა, რომელიც „სანტოსს" გადაუხადა, საგანგებო ჰონორარი — 5 ათასი დოლარი ცალკე პელეს მისცა.

ფეხბურთი



სურათზე: საბჭოთა კავშირის თასის წლევანდელ გათამაშებაში გამარჯვებული მოსკოვის „ტორპედოს" გუნდი.
ვ. ტიმოფეევის ფოტო („იზვესტია").

## აუცილებელი კონტაქტები

საბჭოთა ქვეყანაში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მიმართ მშდ-ს ახალმა კომპლექსმა გაზრდილი მოთხოვნილებები დასახა. წინაა ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო, ევროპული მნიშვნელობის დიდი ღონისძიებანი და მათში მონაწილეობისას წარმატებათა მოპოვებისთვის საჭიროა დაუღალავი წვრთნა, შეუსვენებელი მუშაობა.

ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ამაღლებისა და უმაღლესი სპორტული ოსტატობის განუხრელი ზრდისთვის საჭირო აუცილებელ პირობათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სწორად დაყენებულ საექიმო მომსახურებას უჭირავს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღევანდელი სპორტის საექიმო პრობლემები არსებითად განსხვავდება მათგან, რომლებიც ჩვენ საკმარისად მიგვაჩნია დღემდე. სპორტის ყველა სახეობაში საჭიროა ფიზიკურ ძალთა დიდი ხარჯვა, დიდ დატვირთვათა გადატანა და, რომ არ მოხდეს როგორც ტრავმული ხასიათის, აგრეთვე, ადამიანის შინაგან ორგანოთა საზიანო გადახრები, აუცილებელი გახდა მწვრთნელის, ექიმისა და სპორტსმენის სისტემატური, საფუძვლიანი, ღრმა კონტაქტები.

უგულებელყოფილია ექიმის როლი საწვრთნელ დატვირთვათა დაგეგმვის, აგრეთვე, საერთო გაწვრთნილობის დონის განსაზღვრისას. საჭირო კია მისი საქმიანი და კონკრეტული რეკომენდაციები სპორტული ფორმის მიღწევასა და აღდგენაში. ჩვენ ვესწრებოდით სპორტსმენთა წვრთნის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას ბაკურიანში, როცა ექიმი-მეცნიერები განსაზღვრავდნენ სპორტსმენთა დაღლილობის დონეს და იძლეოდნენ საერთო დატვირთვათა ოპტიმალურ რეცეპტს. სწორედ იქ, ამ პრინციპით ემზადებოდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. კულაკოვა და ვ. ვედენინი, რომლებმაც ოლიმპიური ოქროს მედლები მოიპოვეს საპოროში.

### საექიმო მომსახურების გაუმჯობესებისთვის

ახლახან გაიმართა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის კოლეგიების ერთობლივი სხდომა, რომელმაც განიხილა უმაღლესი კლასის სპორტსმენთა საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის სამზადისში საექიმო მუშაობის გაუმჯობესების საკითხები. მიღებულია დადგენილება თბილისის № 1 საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის სპეციალიზებულ საექიმო-სპორტულ დისპანსერად რეორგანიზაციის შესახებ, რომელიც მოემსახურება ნაკრები გუნდების წევრებს. უმოკლეს დროში გადაწყდება ექიმებით დისპანსერის დაკომპლექტების საკითხი იმნაირად, რომ სპორტის ყოველ სახეობაში ნაკრებ გუნდს ცალკე ექიმი მიემაგროს.

რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის საორგანიზაციო-მეთოდური ხელმძღვანელობა რესპუბლიკურ საექიმო-ფიზკულტურულ დისპანსერს დაევალა. დასახულია კონკრეტული გზები საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპორტულ-სამედიცინო სამსახურისა და რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციათა ნაყოფიერი კოორდინაციისთვის.

მიღებული დადგენილებანი ხელს შეუწყობს საქართველოს სპორტსმენთა საექიმო მომსახურების გაუმჯობესებას, სამედიცინო კონტროლის სრულყოფას.

**ნ. ავალიანი,**
რესპუბლიკური სპორტკომიტეტის მთავარი ექიმი-მწვრთნელი.



ფინიშისკენ..
მ. თათარიშვილის ფოტო.

## არ ბერდება!

**ესპანეთის** ნაკრების მატჩებმა მწვრთნელი კუბალა დაარწმუნა, რომ მას აშკარად არა ჰყავს გამთამაშებელი მოთამაშე, ურომლისოდაც ძნელია წარმატებას მიაღწიო.

მას შემდეგ, რაც ახალ ღირსეულ კანდიდატს ვერ მიაგნო, კუბალამ ისევ „ძველი" სუარესი გაიხსენა, რომელიც თავის დროზე ვირტუოზი გამთამაშებელი იყო. სუარესი უკვე 37 წლისაა, ამასთან, მასზე უკვე 2 წელია ხელი აიღო იტალიის „ინტერმა", რის შემდეგ ვეტერანი „სამპდორიაში" გადაპარგდა.

და აი, სუარესმა ისევ დაიკავა ადგილი ესპანეთის ნაკრებში. მის ახალგაზრდა პარტნიორებს რწმენა მიეცათ, მათი მოქმედება გააზრებული გახდა. კმაყოფილი კუბალა აპირებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში „დირიჟორის ჯოხი" ისევ სუარესს ჩააბაროს.

## მძლეოსანთა სტარტები

**ბუდაპეშტი,** 14 აგვისტო. სოციალისტური ქვეყნების მოზარდ მძლეოსანთა ტრადიციულ „მეგობრულ თამაშებში" 18 წლის კიშინიოველმა ვ. კაჩანოვმა ყველას აჯობა ათჭიდში — 7108 ქულა.

* * *

**ციურიხი,** 14 აგვისტო. შვეიცარიისა და გფრ-ის აქ გამართულ მატჩში (პროგრამის ყველა სახეობაში სტუმრებმა იმარჯვეს) გერმანელებმა სამი ეროვნული რეკორდი დაამყარეს: ლიზელ ვესტერმანმა 64,96 მეტრზე ტყორცნა ბადრო (იგი მესამე ბადროს მტყორცნელი ქალია, ვინც 64-მეტრიანი ზღვარი გადალახა), ულრიკა მაიფარტმა ფოსბიურის ყაიდით 185 სმ სიმაღლე დაძლია, ხოლო ჰ. მაგერლი 222 სმ სიმაღლეს გადაევლო (ეს მეხუთე-მეექვსე შედეგია წლეულს მსოფლიოში).

მსოფლიო რეკორდსმენი ჰაიდი როზენდალი 651 სმ სიგრძეზე გადახტა, ხოლო კ. ვოლფერმანმა 86,40 მეტრზე ტყორცნა შუბი.

მატჩის ანგარიშია: ვაჟთა შორის — 275:134, ქალებში — 179:77.

* * *

**სტავანგერი,** 14 აგვისტო. ნორვეგიის მძლეოსანთა ჩემპიონატში სპორტის ამ სახეობის უფროსი და ჭაბუკური ასაკის წარმომადგენლებმა ეროვნული რეკორდები განაახლეს. სპრინტერმა ა. გარსოლმა, რომელსაც ახლახან შეუსრულდა 21 წელი, ნორვეგიის ერთ-ერთი „უხუცესი" რეკორდი გააუმჯობესა, როცა 100 მ 10,2 წამში გაირბინა (ბ. ნილსენის უწინდელმა მიღწევამ 15 წელიწადს იარსება). 36 წლის ბ.-ბ. ანდერსენმა თავისივე ეროვნულ რეკორდს 35 სმ წაუმატა — 19,29 მეტრზე ჰკრა ბირთვი.

* * *

**ლიუდენშაი** (გფრ), 14 აგვისტო. კანადის ოლიმპიური ნაკრების წევრმა, 22 წლის ჯ. ბირსმა, რომელიც უკვე ჩამოვიდა დასავლეთ გერმანიაში, ამ ქალაქის სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში თავისი ქვეყნის რეკორდი დაამყარა სიმაღლეზე ხტომაში—218 სმ.

## „მეხუთე ოკეანის" ჩემპიონები

**ორიოლი,** 15 აგვისტო. პლანერისტთა აქ დამთავრებული საკავშირო ჩემპიონატი იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ საქვეყნოდ ცნობილ ოსტატებს ახალგაზრდა სპორტსმენებმა მძაფრი მეტოქეობა გაუწიეს.

სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ იური ამორკინი (უკრაინა) და ედა ლაანი (ესტონეთი). II ადგილებზე არიან ე. რუდენსკი (უკრაინა) და ლ. კლიუევა (მოლდავეთი), ხოლო III — ი. კუზნეცოვი (მოსკოვი) და თ. ზაგაინოვა (ორიოლი).

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი თასი უკრაინის გუნდს ხვდა.

რედაქტორი მ. პაკაბაძე.

საქართველოს განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო მე-2 სპორტული სკოლა-ინტერნატი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1972-1973 სასწავლო წლისთვის.

მოსწავლეთა მიღება იწარმოებს IV, V და VI კლასებში სპორტული ტანვარჯიშის, ჩოგბურთისა და ცურვის განხრით.

განცხადებების მიღება და მოსწავლეთა სპორტული მომზადების დონის შემოწმება — 22 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე.

სწავლება ქართულ ენაზე.

სკოლა-ინტერნატის მისამართი: გარდაბნის რაიონი, სოფ. გლდანი. ტელეფონი 62-41-64. ავტობუსი № 24 მეტროს სადგურ „დიდუბიდან".

მე-2 სპორტული სკოლა-ინტერნატის დირექცია.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უ 02624